დანართი №1

დამტკიცებულია სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2014 წლის „ 27.01 „
№14/01-01 ბრძანებით

§ 1. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია სსიპ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის შერჩევა.
2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

§ 2. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი (შეირჩევა კომისიის წევრებიდან);

§ 3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:
კონკურსის წესით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის შერჩევა.

აპლიკანტების (ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს) წინასწარი შეტყობინების საფუძველზე გასაუბრებაზე მოწვევა;

კომისიას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებს.

§ 4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან.
2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.
3. კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
4. იმ კანდიდატების შორის, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენჭისყრა ეწყობა ხელახლა.
5. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ სპეციალისტთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

§ 5. დავების გადაწყვეტა

1. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.